ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების,
ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის
სხდომის

ო ქ მ ი N19

22.11.2023
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის N19 სხდომას თავმჯდომარეობდა კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე .

ესწრებოდნენ :

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრები: თეა ჯუღელი, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი,ქეთევან ხურციძე.

სულ : 13 წევრიდან-7 წევრი.

არ ესწრებოდა: მიხეილ გიორგაძე, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი

სულ: 6 წევრი

სხდომის მუშაობაში ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ირაკლი შენგელია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გია ბასილაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბაქარ მახარაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ: ,, მოგესალმებით მეგობრებო, დღევანდელ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად

ვაცხადებ, დღის წესრიგის მიხედვით, ვისმენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024წლის ბიუჯეტის პროექტს. წლის განმავლობაში აღნიშნულ სამსახურთან გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა, ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა და ამ მრავალფეროვნებაში თითოეულ განყოფილებას მადლობა, რადგან მაქსიმალურად არიან ჩართულნი. იმედი მაქვს, მომავალი წლის ბიუჯეტი, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქნება ძალიან ნაყოფიერი. გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ აღნიშნული დღის წესრიგის შემდეგ პროექტს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

ქ-ნ ელეონორა გოგოლაშვილი
კულტურის განყოფილების უფროსი

ქ-ნ ლანა სვანიძე
სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა განყოფილების უფროსი

ქ-ნ სალომე ფუტკარაძე
განათლების განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის N19-სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

(ბიუჯეტის პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე: ,,გთხოვთ, განყოფილებების მისხედვით წარმოგვიდგინოთ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტები. გისმენთ ქალბატონო ელეონორა".

ელეონორა გოგოლაშვილი: მოგესალმებით, წარმოგიდგენთ კულტურის ღონისძიებების 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს. დავიწყებთ ქუთაისში გამომავალი ბეჭდური გამოცემებით: უქიმერიონი, მწვანეყვავილა, განთიადი- 95 300 ლარი, იგივე თანხის რაოდენობა რაც იყო მიმდინარე წელს. ქუთაისის შესახებ 4 წიგნის გამოცემაა ახალი ჩვენს ბიუჯეტში- 60 000 ლარის ოდენობით. მოგეხსენებათ, ქუთაისს მიენიჭა ლიტერატურული ქალაქის სტატუსი იუნესკოს მიერ და სწორედ ამ პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში 70000 ლარი განისაზღვრა ბიუჯეტში. ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერის პროგრამა 45000 ლარი; ქუთაისელი მწერლების, მხატვრების და თეატრალური მოღვაწეების საიუბილეო პროგრამა-15000 ლარი. გასულ წელთან შედარებით 5000 ლარით ნაკლები.იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მხარდაჭერა 20 000ლარი. ქუთაისის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი- 60 000ლარი. ქუთაისის თეატრების ფუნქციონირების მხარდაჭერა 20 000ლარი. ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი ,, ბერმუხა" დაფინანსება- 44 000 ლარი, მიმდინარე წელს არის ხელფასების 10%-იანი ზრდა. ქალაქის დღესასწაული ,,ორმაისობა" – 150 000ლარი, ფოტოკონკურსი ,,ილო"- 20 000ლარი, საახალწლო ღონისძიებები -150 000 ლარი; გახმოვანების აპარატურის მომსახურება- 60 000ლარი; ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დაფინანსება- გასულ წელს იყო 132 000ლარი, მიმდინარე წელს კი იზრდება 10%-ით; საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე გამარვებულ მოსწავლეებსა და მათი პედაგოგების დაჯილდოვება- 150 000ლარი; საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე მონაწილეობის მისაღებად ქუთაისელი მუსიკოს-შემსრულებლების ტრანსპორტირება -10 000 ლარი, გასულ წელთან შედარებით 5000 ლარით ნაკლები, რადგან წინა წელს დარჩა ნაშთი და მიმდინარე წელს ჩავთვალეთ ასე უფრო უპრიანი იქნებოდა; საქართველოს დამსახურებული არტისტებისა და ქურუმების სტიპენდია 65 000 ლარი; სტუმართა კვებით და სასტუმრო მომსახურება 10000 ლარი; ,, ქარავან არტ- ფორუმი 2024''-70 000 ლარი; ქუთაისის გაენათ ეპარქიის მხარდაჭერა 10 000ლარი; სტირტ არტი- 90 000ლარი; 60+ კლუბი, ეს არის ქვეპუნქტი, რომელიც აქამდე სოციალური სამსახურის პროგრამიდან ფინანსდებოდა, გადაწყვეტილება მივიღეთ ასახულიყო ჩვენს ბიუჯეტში, რადგან უფრო კულტურის სფეროს მიეკუთვნება, რადგან 60 წელს ზემოთ კულტურულ აქტივობებს აფინანსებს; მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ახა;ლგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა მე-4 საერთაშორისო კონკურსი ტარდება 2 წელიწადში ერთხელ, მომავალ წელს ბიუჯეტში განვსაზღვრეთ 70 000 ლარით. კულტურის განვითარების მხარდაჭერის სტრატეგიის ფარგლებში ჩავდეთ 30 000 ლარი; ანსამბლ ,,ქართული ხმების" კონცერტი -15 000 ლარი; ქუტაისის ჯორჯ ბალანჩინის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი - 5000 ლარი, ეს არის ძირითადად ჯილდო, რომელსაც აწესებს გრან-პრის მფლობელზე; დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ანსამბლ -,,თბილისოს: მონაწილეობით - 15 000 ლარი. გაუთვალისწინებელ ღონისძიებებში განვსაზღვრეთ 15 000ლარი.

ეს იყო სულ, მზად ვარ კითხვებისთვის.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ბექა მახარაძე: ,,გრანტთან დაკავშირებით მინდა დაგისვათ კითხვა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ვერ ავიღეთ?"

ელეონორა გოგოლაშვილი: ,, ეს იყო ევროკავშირის კომპეტენცია. ზუგდიდმა ალბათ უფრო იყოჩაღა, ეს არის კონკურსი, სადაც ყველა ვერ იმარჯვებს".

ირაკლი შენგელია: ,, იუნესკოს დღეებთან დაკავშირებით, თუ იცით კონკრეტული ღონისძიებები რომელსაც ვგეგმავთ?"

ელეონორა გოგოლაშილი: ,,ველოდებით ოფიციალურ წერილს იუნესკოდან, ისინი მოგვცემენ დირექტივებს და დავიგეგმბით შესაბამისად".

ირაკლი შენგელია: ,, წიგნების გამოცემის დაფინანსებაზე, გათვალისწინებული გაქვთ 60 000 ლარი, გთხოვთ დააზუსტოთ".

ელეონორა გოგოლაშვილი: ,,ბეჭვდაზე გამოცხადებული გვაქვს ტენდერი. შინაარსობრივ ნაწილზე იმუშავებს მერაბ კეზევაძე, ეს წიგნები იქნება სასაჩუქრე და არ გაიყიდება ბაზარზე. დაიბეჭდება 4 წიგნი: ქუთაისის საპატიო მოქალაქეები, ქუთაისის ქუჩები, თვითმმართველობის 170-ე წლისთავთან დაკავშირებით წიგნი; მემორიალური ქუთაისი.

ბექა ქებულაძე: გთხოვთ, ქალბატონო სალომე.

სალომე ფუტკარაძე: ,,მოგესალმებით, განათლების ღონისძიებების პროგრამის ბიუჯეტი 2024 წელს განისაზღვრა 350 000 ლარით. საიდანაც ფინანსდება ედა ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: საჯარო სკოლების მოსწავლეტა თეატრალური ფესტივალი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება 10 000 ლარი; ინტელექტუალური კონკურსი მოსწავლეთათვის 5 000ლარი; მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა- 10000ლარი, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო ღონისძიება- 20 000 ლარი; საზაფხულო ბანაკი - VIII-IX-X კლასის წარმატებული მოსწავლეთათვის-60 000ლარი; საქართველოს ფარგლებს გარეთ სასწავლებლად სტუდენტთა გამგზავრების მხარდაჭერა(თანადაფინანსება) 10 000ლარი; მასწავლებლის დღესთან დალავშირებით პედაგოგების დაჯილდოვება 30 000 ლარი; ქართული ენის დღისადმი მიღღვნილი ღონისძიება - 10 000 ლარი; მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღვაწლმოსილი წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოვება- 8 000 ლარი; ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებულმოსწავლეთა და მათი პედაგოგების დაჯილდოვება 12 000 ლარი; საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე მონაწილე პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაფინანსება-15 000 ლარი; ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების საერთაშორისო სასერფიკატო გამოცდებში მონაწილეობის დაფინანსება 15 000 ლარი; ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვილი კონცერტი- 15 000ლარი;სასწავლო ტრენინგ კურსი ,,აირჩიე პროფესია სკოლაში" 15 000 ლარი; სასკოლო კლუბების ინიციატივების მხარდაჭერა 20

000ლარი; მერიის სტიპენდიანტები 25 000 ლარი; გაუთვალისწინებელი ღონისძიებები- 10 000 ლარი. მზად ვარ კითხვებისთვის“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ირაკლი შენგელია: ,, მივესალმები ახალგაზრდულ ბანაკებს, ხომ არ აჯობებდა ტექსტურ ნაწილში გადაგვეხედა ფორმატი ანუ ტექსტურ ნაწილში აჯობებდა აქცენტი არ იყოს გაკეთებული მხოლოდ წარმატებულზე. სასურველია შეირჩეს ისეტი ბავშვები, რომლებსაც რეალურად მივცემთ სტიმულს, უკეთესად განავიტაროს საკუთარი თავი“.

სალომე ფუტკარაძე: ,,ჩვენ გასულ წლებში გვქონდა სოციალურად დაუცველი და წარმატებული მოსწავლეებისთვის. დებულებით იყო, ბავშვი, რომელიც იყო სოციალურად დაუცველი, ამასთანავე უნდა ყოფილიყო წარმატებული. განათლების ნაწილში თქვენს რეკომენდაციას გავითვალისწინებთ“.

ირაკლი შენგელია: ,,სასწავლო ტრენინგ კურსი ,,აირჩიე პროფესია სკოლაში“- ეს პროგრამა ახალი გაქვთ ბიუჯეტში?''

სალომე ფუტკარაძე: ,, წელს ვახორციელებთ ამ პროგრამაწს, ტენდერში გამარჯვებულია ახალგაზრდული ჰორიზონტი. თემატიკაა, შრომის ბაზარზე არსებული პროფესიები, რომელიც უნდა შეარჩიოს მოსწავლეებმა“.

ბექა მახარაძე: ,, სტუდენტებთან დაკავშირებით, რომლებიც უცხოეთში მიდიან სასწავლებლად, წინასწარ როგორ დათვალეთ თანადაფინანსების ეს თანხები?“

სალომე ფუტკარაძე: ,, ეს თანხა ჩავდეთ წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე“.

ბექა ქებულაძე: გთხოვთ, ქალბატონო ლანა.

ლანა სვანიძე: წარმოგიდგენთ 2024 წლის სპორტის ღონისძიებების ბიუჯეტის პროექტს და ის შეადგენს 1 900 000 ლარს.კერძოდ - გ. ჩიქოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში 15 000ლარი; თ.აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში 15000 ლარი;საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის 10000ლარი; გ.სარდანაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში 10000ლარი; კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 8 000 ლარი; გ.დარსაძის სახელობის ტურნირი კალათბურთში 12000 ლარი; ტურნირი ჩოგბურთში 6000 ლარი; სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 25000 ლარი; ავტორალი 10000ლარი; აკაკი კიბორძალიძის და დავით ხახალეიშვილის სახელობის ტურნირი ძიუდოში 20000ლარი; დავით ჩირაძის მემორიალი ჭარდაკში 5000ლარი; ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასის ტურნირი 15000ლარი; ზ.შეყილაძის დ მ.დოხტურაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 10000 ლარი; აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში 20000 ლარი; მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში 20000 ლარი; წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება 15000ლარი; წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების სტიპენდია 119300 ლარი; ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების

სტიპენდია 18000ლარი; ქუთაისელი ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა 10000 ლარი; საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი ჯილდოს გაცემა 70000ლარი; რაგბის ხელშეწყობა (ააიო სარაგბო კლუბი ,,აია''- 600,0 ათასი ლარი, რაგბის კლუბი ,,არესი'' -170,0 ათასი ლარი, საეკლესიო კლუბი ,,ბაგრატი" -100,0 ათასი ლარი) (მემორანდუმი) 970000ლარი; ა(ა)იპ ქუთაისი ოლიმპიური კომიტეტი (მემორანდუმი) 10000 ლარი; მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებით დაფინანსება 50000ლარი; კოლია ქვარიანის ნეშტის გადმოსვენების ხარჯი 70000ლარი; ქუთაისში მოღვაწე საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის წოდების მქონე პირთა ყოველთვიური ფულადი ჯილდო 104000 ლარი; სპორტის რაინდის სტიპენდია 6000 ლარი; ტანვარჯიშის საერთაშორისო ტურნირი; ჯომარდობა პირველადაა ჩვენს ბიუჯეტში, გამომდინარე იქედან, რომ მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ასევე ახალი ტურნირებია შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერა 20000ლარი, საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში 30000ლარი; ა(ა)იპ ქუთაისის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდის ხელშეწყობა 100000ლარი; ქუთაისის საერთაშორისო ღია ჩემპიონატი კარატეში 10000ლარი; ღია პირველობა კალათბურთში ,,ქუთაისის თასი" 15000ლარი; ა.ბოყოჩაძის სახელობის ტურნირი ხელბურთში- 15000ლარი. მადლობთ, ყურადღებისთვის.

ირაკლი შენგელია : ,,ბიუჯეტში გაქვთ სპორტსმენების ტრანსპორტირების თანხა, რომელ ასაკობრივ კატეგორიას ითვალისწინებთ?"

ლანა სვანიძე: ,,ეს შეიძლება იყოს როგორც თვითმმართველობის ბალანსზე არსებული კლუბების სპორტსმენებისთვის, ასევე ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მოსწავლეებისთვის.''

გია ბასილაძე: ,,რატომ აღარ არის ბიუჯეტში მინდვრის ჰოკეის დაფინანსება?''

ლანა სვანიძე: ,, ამ ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული პრიორიტეტებში, თუმცა ვღებულობთ რეკომენდაციას და გავითვალისწინებთ".

ლანა სვანიძე: ,,წარმოდიდგენთ ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამული ბიუჯეტის პროექტს და ეს გახლავთ 400000 ლარი: ზამთრის ლიდერთა სკოლა 27300 ლარი; ზაფხულის ლიდერთა სკოლა 30000 ლარი; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 20000 ლარი; ქუთაისის ახალგაზრდული ფესტივალი 25000ლარი; ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ხელსეწყობა 15000 ლარი; ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა 130000ლარი; საერთაშორისო პროექტებსა და კომფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა 30000ლარი;მოხალისეთა მხარდაჭერის პროგრამა 10000ლარი, ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი 30000ლარი; ახალგაზრდული მუშაკების გაძლიერება/ მხარდაჭერა 50000ლარი; გაუთვალისწინებელი ღონისძიებები 17500 ლარი.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბექა ქებულაძემ** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ღია კენჭისყრით, ერთხმად მოიწონეს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისიამ სხდომაზე გასცა შემდეგი სახის რეკომენდაციები.

1. დაზუსტდეს ბიუჯეტის პროექტში არსებული ღონისძიების - „ქუთაისი - იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის წევრი ლიტერატურის მიმართულებით“ საკუთარი შემოსავლის ოდენობა (70 000 ლარი), და საჭიროებისამებრ გაიზარდოს დაფინანსების ოდენობა.
2. ბიუჯეტის პროექტში არსებული ღონისძიება - „ქუთაისის შესახებ 4 წიგნის გამოცემის დაფინანსება“ განხორციელდეს კონკურსის საფუძველზე, რომელშიც წარმოდგენილი იდეების მიერ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაფინანსდეს 4 იდეა, წინასწარ, კონკურსის გარეშე შერჩეული იდეების დაფინანსების ნაცვლად.
3. პრიორიტეტების სწორად გადანაწილების მიზნით, ბიუჯეტის პროექტში ღონისძიების - „სტრიტ არტის“-თვის 90 000 ლარის გამოყოფის ნაცვლად, აღნიშნული თანხა მიემართოს საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მაგალითად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის/სახლების რეაბილიტაციას და ა.შ. „სტრიტ არტის“ ღონისძიება შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალისტების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის გამოჩენით.
4. ბიუჯეტის პროექტში არსებული ღონისძიების - „ქარავან არტ-ფორუმი 2024“ შედეგები გახდეს გაზომვადი, ხილული და მუნიციპალიტეტისათვის მიღებული სარგებლის გაზომვის, შეფასების შემდეგ მოხდეს მისი ბიუჯეტის პროექტში ასახვა.
5. ა(ა)იპ "ქ. ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო, კულტურული და სახელოვნებო საქმიანობიდან გამომდინარე, ღონისძიებები განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა შესაბამისი ბიუჯეტიდან, ნაცვლად აღნიშნული ა(ა)იპ-ისა.
6. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში ქუთაისის ხანდაზმულთა ფოლკლორულ ანსამბლ „ბერმუხა“-სთვის გამოყოფილი დაფინანსება გაიზარდოს 5 000

(ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, ვინაიდან ანსამბლის წევრთა გარდაცვალებით ხმათა ოდენობა შემცირდა და არ პასუხობს ანსამბლი შესაბამის გამოწვევას. ანსამბლმა უნდა შეძლოს საჭირო ადამიანური რესურსის დამატება.

7. ბიუჯეტის პროექტში არსებული ღონისძიება - „საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების წარმატებულ მოსწავლეთათვის“ ხელმისაწვდომი გახდეს არა მარტო წარმატებული, არამედ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლესთვის.
8. ბიუჯეტის პროექტში არსებული ღონისძიების - „საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების წარმატებულ მოსწავლეთათვის“ დაფინანსება გაიზარდოს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და ნაცვლად 60 000 ლარისა, განისაზღვროს 70 000 ლარი.
9. ბიუჯეტის პროექტში არსებული ღონისძიებების - „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ და „ზამთრის ლიდერთა სკოლის“ ჯამური დაფინანსება გაიზარდოს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით და ჯამში ნაცვლად 65 000 ლარისა, განისაზღვროს 80 000 ლარი.
10. წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით ა(ა)იპ „სარაგბო კლუბი „აია“-ს დაფინანსება გაიზარდა 50 000 ლარით, რაგბის კლუბ "არესი"-ს დაფინანსება გაიზარდა 40 000 ლარით, ხოლო საეკლესიო კლუბ "ბაგრატი"-ს დაფინანსება გაიზარდა 10 000 ლარით. ბიუჯეტის პროექტში კლუბ „არესს“ დაფინანსება გაეზარდოს 30 000 ლარიდან 40 000 ლარამდე არსებული ფინანსური საჭიროებების გამო. ასევე პროპორციულად გაიზარდოს საეკლესიო კლუბი "ბაგრატი"-ს დაფინანსებაც.
11. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში აისახოს მინდვრის ჰოკეის დაფინანსება.

ამით კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების,ახალგაზრდობის
საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე

ბექა ქებულაძე